ნინო ნიკოლაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
nininikola1998@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.66

ფოლკლორული მოტივები რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში

ხალხური შემოქმედება ერის სულია. ეს ის სულია, რომელიც გადაეცემოდა თაობიდან თაობას და მოაღწია დღემდე. სწორედ ეს სული ჩანს რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში. მის მოთხრობებში იგრძნობა წარსული ყოფის რიტმი და პირველწყაროებთან შეხება, რაც, ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა დღევანდელი მკითხველისთვის.

აღსანიშნავია, რომ მწერალი მცირე პროზაში მასალად იყენებს არა მითის ფორმას, არამედ – სულს. მისი შემოქმედებისა და მითოლოგიის ურთიერთქმედება ამ კრიზისის დაძლევის, ამ ნაპრალის ამოვსების მცდელობაა, აგრეთვე, ეროვნულ ტრადიციებზე აქცენტის გაკეთებით სურს, არ დაიკარგოს ძველი ცოდნა და გამოცდილება, არ მოვწყდეთ ეროვნულ ფესვებსა და სიმდიდრეს.

გასათვალისწინებელია, ავტორის დამოკიდებულება უფროსი თაობისადმი, მისთვის ხანშიშესული ადამიანები წარსულთან, დიდ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებთანაა დაკავშირებული. როგორც წესი, თაობათა შორის მუდამ შეინიშნება დაძაბულობა და აზრთა სხვადასხვაობა, რევაზ ინანიშვილი კი ამ დაძაბულობას საინტერესო ჩვეულებების გაზიარებით აღმოფხვრის.

მწერალმა ხალხურ თქმულებაში ჩამალული, მანამდის შეუმჩნეველი, ეროვნული სულის თავისებური ხასიათი დაინახა, სულ სხვა ინტერპრეტაციით გარდაქმნა ის და ნაწარმოებს დრამატული ელფერი შესძინა.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა ადამიანის ზოგადი პორტრეტული სახის შექმნა. მწერალი ხშირად გვერდს უვლის პერსონაჟის გარეგნული დახასიათებისას მის დეტალურ აღწერას. ყურადღებას მხოლოდ ზოგად ნიშნებზე ამახვილებს, რითაც ხაზს უსვამს არა პერსონაჟის, არამედ იდეის პრიორიტეტულობას. ის წინა პლანზე აყენებს აზრს და გმირს იმდენად ახასიათებს, რამდენადაც საჭიროა იდეის გამოკვეთისთვის.

კვლევის ფრგლებში დავამუშავე ის მასალა, რომელმაც შესაძლებლობა მომცა გავცნობოდი წყლის, გველისა და ირმის კულტის ფოლკლორულ ნაზრევს.

მითოლოგიაში არსებული უამრავი მაგალითის საფუძველზე წყალი სიცოცხლესთან, ნაყოფიერებასთნ და სიყვარულთან არის დაკავშირებული. ჩვენამდე მოღწეული ფოლკლორული მასალები ადასტურებენ, რომ ნაყოფიერების ღვთაება წყლის ღვთაებას უკავშირდება. ვახტან კოტეტიშვილი აღნიშნავს: „ზღვაც ხომ გრანდიოზულ ძალობრივ საწყისთან და სიყვარულთან არის დაკავშირებული.“ [კოტეტიშვილი, 1961, გვ. 35].

რევაზ ინანიშვილი მცირე პროზაში მასალად იყენებს არა მითის ფორმას, არამედ – სულს. აქ თავს იჩენს: მითოსური სახეები, ფოლკლორული მოტივები, ქართული სულის ყოფა. ამით მისი პროზა მსოფლიო ლიტერატურის გამაერთიანებელ კანონზომიერებათა პროცესის თანამონაწილე ხდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართული მწერლობის ფესვები პირველყოვლისა ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძვლების წიაღშია საძიებელი [10: 3].

ასევე, რ. ინანიშვილის შემოქმედებაში თავს იჩენს მითოსური სახეები, ქართული სოფლის ყოფა და ის ხალხური სიბრძნე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. წინაპართა ნააზრევს იგი მადლით გაჯერებულ „კეთილ მიწას“ უწოდებს და მისით ასაზრდოებს თავის მოთხრობებს.

რევაზ ინანიშვილს ეროვნულ ტრადიციებზე აქცენტის გაკეთებით სურს, არ დაიკარგოს ძველი ცოდნა და გამოცდილება, არ მოვწყდეთ ეროვნულ ფესვებსა და სიმდიდრეს. მწერალი ცდილობს, შეგვინარჩუნოს ის, რაც ჩვენთვის ღირებულია, რის შეძენასაც ვეღარ შევძლებთ.

ლიტერატურა ინტენსიურად იყენებს მითოლოგიას საკუთარი მიზნებისთვის. ერთ-ერთი უმთავრესი კი ადამიანის მიერ დაკარგული ჰარმონიის პოვნის მცდელობა და ის, რომ მითს, როგორც წარსულის ცოცხალ მეხსიერებას, შეუძლია განკურნოს თანამედროვე სატკივარი.

„გველს თაყვანს სცემდნენ, როგორც სახლისა და კერიის მფარველს. იგი დედამიწასთან (დედა ღვთაებასთან) ორი ასპექტით არის დაკავშირებული: როგორც მისი ავტორები, ნების გამომხატველი და გამოვლინება; მეორე მხრივ, როგორც მიცვალებულთა სამყაროსთან დაკავშირებული სიმბოლო“ [1: 17].

„ირემი მზის განმასახიერებელ ცხოველად არის წარმოდგენილი მითოსური მსოფლმხედველობით. „ირემი მზის განმასახიერებელი ცხოველია. ხევსურულ მითში იგი თვითონ კოპალას ასტრალური სახეა“ [9: 79].

მითოსი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში

გველი - ქართველი ხალხის წარმოდგენაში გველი განსახიერებულია კეთილ, მფარველ და სათნო სულად, ადამიანთა შემწედ, ბარაქისა და ხვავის მომტანად. როგორც ოჯახის წმინდა ანგელოზად მოვლენილი, ის ხშირად გვხვდება არქეოლოგიურ ძეგლებზე, ეთნოლოგიურ ყოფაში, ხალხურ სიტყვიერებასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში. შორეული წარსულიდან მომდინარე გველზე შექმნილი მრავალი გადმოცემისა და თქმულების მიხედვით, ქართველთა ტომები ძველად გველს უკავშირებდნენ დოვლათიანობასა და ნაყოფიერებას.

„გველს თაყვანს სცემდნენ როგორც სახლისა და კერიის მფარველს. იგი დედამიწასთან (დედა ღვთაებასთან) ორი ასპექტით არის დაკავშირებული: ერთი მხრივ, როგორც მისი ატრიბუტი, ნების გამომხატველი და გამოვლინება; მეორე მხრივ, როგორც მიცვალებულთა სამყაროსთან დაკავშირებული სიმბოლო [1:17].

ზეპირსიტყვიერებაში დამკვიდრებული წარმართობის დროინდელი გველის კულტი, ხალხურ ცნობიერებაში არსებული ხვავის, სიჯანსაღის, სიკეთის, სიმრავლის, ნაყოფიერების ღვთაება, რევაზ ინანიშვილს თავის მოთხრობებში შემოჰყავს როგორც მითოსური პერსონაჟი, სიბრძნისა და მაგიური ძალის მფლობელი.

მითოსური სამყაროს უძლიერესი წარმომადგენელი, სიბრძნისა და სიუხვის ღვთაება მთელი თავისი სიძლიერით და მშვენიერებით წარმოადგინა მწერალმა მოთხრობაში „გველი“.

გველთან შეხვედრის შემდეგ პატარა ბიჭი ისეთივე სიუხვისა და ნაყოფიერების მომტანი და ოჯახის მფარველი ხდება, როგორც – თვით გველი, რომელიც მთელ საქართველოში ნაყოფიერების, ბარაქისა და დოვლათის მომნიჭებელ ღვთაებად ითვლებოდა.

მითოლოგიაში გაბნეული, გველთან ურთიერთობის ეს ასპექტი რევაზ ინანიშვილმა კვლავ ბებოს სახელს დაუკავშირა. მოთხრობაში „მი და მო“ ბებია შვილის სიკვდილს გველის მოკვლას უკავშირებს: „ბავშვის სიკვდილის შემდეგ ხშირად წაიშენდა ხოლმე ხელებს თავში, მარანში დიდი გველი ენახა დახვეული, ბიძინასათვის დაეძახნა, ბიძინას მოეკლა და ახლა ნანობდა“ – ისეთი თვალებით შემომხედა იმ გველმა, კარგს რომ არაფერს დაგვმართებდა,

მაშინვე მივხვდიო. თანაც ქვეწარმავლებისა დიდად არ ეშინოდა ბებოს.“მოხუცმა შვილის სიკვდილი გველს დაუკავშირა – ამით კიდევ ერთხელ ცხადყო სულიერი სიახლოვე ხალხურ ცნობიერებასთან [5: 187].

ქართულ მითოსში ორი უმთავრესი აზრი და წარმოდგენაა გველის შესახებ: პირველი ის, რომ ნაყოფიერების ღვთაება, წმინდა სული და ოჯახის დამცველია; მეორე, რომ ის საშიში და ბოროტი არსებისაა. რევაზ ინანიშვილმა ორივე ეს გააზრება ლამაზი ეპიზოდებით გააცნო მკითხველს.

ირემი - მზის განმასახიერებელ ცხოველად არის წარმოდგენილი მითოსური მსოფლმხედველობით. „ირემი მზის განმასახიერებელი ცხოველია. ხევსურულ მითში იგი თვითონ კოპალას ასტრალური სახეა“[9: 79].

მზისა და ირმის იგივეობას აღნიშნავს ზურაბ კიკნაძე: „მზეს თავისი ორეული ჰყავს ცხადში. ეს არის ირემი – ირემი მზიური ცხოველი. მზე და ირემი ერთმანეთს ენაცვლებიან სიზმარ-ცხადში; სხვაგვარად რომ ვთქვა, ის არსება, რომელიც ცაში მზედ იხილვება, დედამიწაზე რქაბორჯღალა ირმის სახით დადის. ამ მონაცვლეობის ძალით არის, რომ ერთ ქართულ ზღაპარში ირმისთვის ნასროლი ტყვია მზეს ხვდება [7: 115].

ირმის, მითოსური სამყაროს უმშვენიერესი წარმომადგენლის სახე შესანიშნავადაა წარმოდგენილი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში. ხალხურ ცნობიერებაში არსებულ ირმის მზიურობას რევაზ ინანიშვილის მწერლური გონი დიდი სიფრთხილით ითავისებს. ამ დებულების საილუსტრაციოდ აუცილებელია გავიხსენოთ მოთხრობა: „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“.

ნაწარმოების მიხედვით, კბოდეზე გადმოზნექილი ნეკერჩხლის ერთი დიდი ფოთოლი ოდნავ მოღუნულიყო და წითლად კაშკაშებდა ტყის ბინდ ჰაერში. ვერც მუხამ, ვერც წყალმა და ვერც მსუქანმა მაჩვმა ვერ შეძლო მისი ადგილიდან დაძვრა. ის ვიღაცას, ან რაღაცას ელოდა. „მოდიოდა წვიმა, უბერავდა ქარი, ეხლებოდნენ ტოტები ტოტებს; რამდენჯერმე ჭირხლმა ძვალრბილიანად გათანგა ყველაფერი, ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი კი ისევ მოლოდინით იყო სავსე და მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად ეღუნებოდა მხრები“ [5:166].

მას შემდეგ კი, რაც გამოჩნდა ხარირემი, ფოთოლი მოწყდა, წამოვიდა ფარფატით და გულაღმა დაეცა თოვლზე. ირემმა დრუნჩი მიუახლოვა, წინა ფეხიც ასწია, უნდოდა ჩლიქი წაეკრა, გადაებრუნებინა და ენახა, რა ფოთოლი იყო ასეთი, მაგრამ ის უმწეოდ ესვენა თოვლზე.

მწერალმა დაგვანახა მარტოდმარტო მდგარი საკრალური ხის ნაყოფის მოლოდინი მზესთან მიახლოებისას. მზის მიწიერ სახედ და ხატად, მითოლოგიის მსგავსად, მოთხრობაშიც ხარირემის სახე იგულისხმება. ნაწარმოებში ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, მითოსური გააზრება აქვს შეძენილი.

მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ კიდევ ერთი მოთხრობა, სახელწოდებით: „გოგონა ღამე რომ შეუყვარდა“. რევაზ ინანიშვილი ამ ნაწარმოებში ხატავს გოგონასა და ირმის შეხვედრას. ეს შეხვედრა რაღაცით გამორჩეული და განსხვავებულია.

„უცებ ეს ფართოდ გახელილი თვალები უფრო მეტად უფართოვდება, წყალში ქორბუდა ირემი ჩანს. ასწევს თავს და ის ირემიც აიხედავს მაღლა. აღტაცებულები შესცქერიან ერთმანეთს. ირემს ოქროს რქები აქვს, თვალებიც ოქროებივით უბრწყინავს. გოგონა შუბლზე ხელს ჩამოუსვამს, სულ ახლოს მოიწევს, ტუჩებს თვალებთან მიუტანს და ლამაზ თვალებში ჰკოცნის. მერე კისერზე ხელს შემოხვევს, ლოყით ეხუტება ყბაზე. ირემი თვალებს ლულავს. ოდნავღა ატოკებს მოუსვენარ [6: 45]

მწერალი ყურადღებას ამახვილებს ირმის ღვთაებრიობაზე და აღნიშნავს, რომ ირემს ოქროს რქები აქვს, თვალებიც ოქროებივით უბრწყინავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ირემი, როგორც მზის ხატი და ოქროსრქიანი ცხოველი მხოლოდ უცნაური გოგონასათვის არის ხილული და ახლობელი. მწერალმა ღამე შეყვარებულ გოგონას მითოსური საიდუმლოება გაანდო.

ზემოთ განხილული მოთხრობების მიხედვით, ირემი ყოველთვის ღვთიური ცხოველია. მას ოქროს რქები, გიზგიზა, ანთებული, ოქროსფერი თვალები აქვს და აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ირემის გამოჩენა ტოვებს მზიურ კვალს.

წ ყ ა ლ ი - რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში მიწაზე განსხეულებული გაღმერთებული წყალი სათავეს საუკუნეთა მიღმა არსებულ ხალხურ აზროვნებაში იღებს.

რევაზ ინანიშვილი წყლის კულტს ათიათასობით წლის წინ ჩასდევს და დამშვიდებული ფიქრით ეალერსება წყალს გამოყოლილ საუკუნეებს: „შემიძლია, საათობით ვიჯდე ხოლმე და ვუყურო, როგორ მოედინება თითქოს მწვანე მდინარე, როგორ ტრიალებენ ჩამოცვენილი ფოთლები სატრიალოებში. როგორ ლივლივებენ წნორის წითელი ფესვები ჩამძვლეულებში. ძალიან მამშვიდებს ფიქრი, რომ ეს წყალიც, ეს ფოთლებიც და ეს ფესვებიც ასე იყო ათასობით წლის წინათ და ასევე იქნება ათასობით წლის [6:28]

მწერლის გონი აცნობიერებს, რომ მისი სულის ნაწილი წყალს უკავშირდება: „ხევის სიღრმეში, სიშავეში, ხავსებში, ხმელ ფოთლებში მიიყურება შავად ლიპლიპა წყალი, ჩემი სულის ნაწილი ამგვარ ნაჟურებში დგას. დავყურებ ღიმილით, მოზრდილ გუბეს ვირჩევ, ვედროს გვერდით ვიდგამ, ვიჩოქებ, ლოცვით ვუშვებ გუბეში პეშვს, ამოვიღებ წყალს და ვსვამ. წყალს ტყის გემო აქვს და მიხარია. ისევ ვიღებ ფრთხილად და ვსვამ. მერე ქურთუკის იღლიებში ამოვიწყობ ხელებს, ასე ვარ, ისევ დაჩოქილი“ [5: 145].

ხალხურ აზროვნებასთან გრძნობადი ძაფებით სათუთად დაკავშირებული მწერალი ლოცულობს საუკუნეებგამოვლილი წყაროს წინ, როგორც წინაპარი მისი ერისა.

აღსანიშნავია, ხალხის მიერ დატოვებული ხევის გასულიერება. ხევისთვის სიცოცხლის მინიჭება კი სწორედ მოჩუხჩუხე წყაროს დახმარებითაა შესაძლებელი.

ავტორი საკულტო წყლის უნარს პატარა, ხევში მიმავალ სოფლის წყაროს ანიჭებს. ხევის წყალს სიხარულიც შეუძლია და სიკეთეც, ხვავის მოტანაცა და ზარალისაც.

ფოლკლორული შემოქმედების სხვადასხვა ჟანრში წყლის კულტი თავის გამოხატულებას პოულობს ნაყოფიერების ფუნქციაშიც, რაც კარგად ჩანს საოჯახო და სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებულ მთელ რიგ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში.

წყალი, როგორც სიცოცხლის მომნიჭებელი და ნაყოფიერების მომტანი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში მითოსურ თვისებას ინარჩუნებს.

მოთხრობა „ფშას“ მიხედვით, ფშა ავტორისთვის სიცოცხლის საწყისია. ფშას თვისი ბინადარნი ჰყავს: ნაფოტები, კალმახი, ხრამული, წვერები, ბაყაყები, ვირთაგვანი, ჭრელი გველი, კიბორჩხალა და სხვა. ყველანი ერთად ცხოვრობენ. ფშა არც ზამთარში იყინება, იქ ყოველთვის სიცოცხლეა. „ფშა მუდამ ხალისიანი და ალერსიანია, როგორც ყოველი მშობელი დედა, მაგრამ მე მინახავს სასოწარკვეთილი, მგლოვიარე ფშაც“ [5: 54]

ფშა სიცოცხლის საწყისია, ამიტომ ის აუცილებლად მოძრაობაში უნდა იყოს. მან კაცობრიობას ნაყოფი და სიკეთე უნდა მოუტანოს. უნდა ვთქვათ ისიც, რომ წარსულში კაცთა ბედის გამგეს ახალი საუკუნე თავის ნებაზე ატრიალებს, თითქოს ის მარწუხებშია მოქცეული და ხალხი სასურველ ფორმას აძლევს, სასურველ საქმეს აკეთებინებს. მოსახლეობა აღარაფერს არ ევედრება წყალს.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში წყალი ზნეობის, სიწმინდისა და სიკეთის მატარებელია. ხალხური სიბრძნით ნასაზრდოები მწერალი ადამიანთა სულიერ განწმენდას მითოსიდან მომავალ წმინდა წყალს უკავშირებს.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში ხშირად ვხვდებით ხალხის ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებულ გამოთქმებს, წეს-ჩვეულებებსა თუ ტრადიციებს. ავტორი სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან და ყოფასთან.

მწერლის შემოქმედება ეროვნული სულისკვეთებით, მითოსითა და ფოლკლორითაა ნასაზრდოები. რევაზ ინანიშვილი ქმნის ლიტერატურულ სამყაროს, რომელიც ერთდროულად ზღაპრულიც არის და რეალურიც.

ლიტერატურა:

1. ნ. (1997). *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში.* თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“.

2.არაბული, ა. (1987). *ნაწილიანობის მოტივი ქართულ ფოლკლორში.* თბილისი: „მეცნიერება“.

3.ბაქრაძე, ა. (1977). *კრიტიკული გულანი.* თბილისი: „მერანი“.

4. ი. (2015). *მოთხრობები.* თბილისი: „ბაკურ სულაკაური“.

5. ი. (2016). *მოთხრობები.* თბილისი: „ბაკურ სულაკაური“.

6.ინანიშვილი, ი. (2017). *მოთხრობები.* თბილისი: „საუნჯე“.

7.კიკნაძე, ზ. (2008). *ქართული ფოლკლორი.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

8.სიგუა, ს. (1986). *სიტყვა როგორც ბედისწერა.* თბილისი: „მერანი“.

9.ჩხენკელი, თ. (1989). *მშვენიერი მძლევარი.* თბილისი: „მნათობი“.

10.ჭელიძე, გ. (1984). *მიხეილ ჯავახიშვილი და ფოლკლორი.* ქუთაისი: საბჭ. საქართველო.

Nino Nikolashvili

University of Georgia

Folk motivs in Revaz Inanishvilis novels

Abstract

In the work, several stories of Reso Inanishvili are carefully analyzed, the roots of which lie in the richest Georgian foklore.